

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

დამტკიცებულია



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
ფარმაცია (სააფთიაქო)

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის დირექტორის 2018 წლის 27 ნოემბრის N40 ბრძანებით ცვლილებები განხორციელებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის დირექტორის 2019 წლის 5 თებერვლის N3 ბრძანებით ცვლილებები განხორციელებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის დირექტორის 2019 წლის 18 ოქტომბრის N38 ბრძანებით ცვლილებები განხორციელებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის დირექტორის 2020 წლის 19 თებერვლის N2 ბრძანებით ცვლილებები განხორციელებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის დირექტორის 2020 წლის 22 ივნისის N37 ბრძანებით ცვლილებები განხორციელებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის N38 ბრძანებით ცვლილებები განხორციელებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის დირექტორის 2020 წლის 30 ივნისის N40 ბრძანებით



საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ქ. თბილისი, გ. ზაზიშვილის ქ. N1

ტელეფონი: +995568402020

ელ-ფოსტა: fanaskerteli@gmail.com

პროგრამის ხელმძღვანელი: ლამარა მეზვრიშვილი

თბილისი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy.
2. სარეგისტრაციო ნომერი 09110-3, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში / Higher Vocational Qualification in Pharmacy.
4. აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „ფარმაცია“, კოდი 0916, აღმწერი - „, შეისწავლის წამლებს და ადამიანზე მათ გავლენას. მოიცავს წამლის მომზადებას, განაწილებასა და ადმინისტრირებას.“

5. მიზანი

პროგრამის მიზანია, შემუშავებულ იქნას ისეთი მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ჯანდაცვის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან კადრის აღზრდას, კერძოდ, პროფესიული კადრების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების-განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას;

6. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება.

7. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

ფარმაციაში ასოცირებული ხარისხის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 46.46, 46.46.0, 47.73, 47.73.0, 82.92.0
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდები: 2262, 3213

8. სტრუქტურა და მოდულები

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს, ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 26 პროფესიულ მოდულს, ჯამური 109 კრედიტის მოცულობით. ჩარჩო დოკუმენტი, ასევე, ითვალისწინებს ერთ არჩევით მოდულს 3 კრედიტის მოცულობით.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

- მოცულობა: 123 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 22 სასწავლო თვე

იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

- მოცულობა: 153 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 28 სასწავლო თვე

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 2	3
2	მეწარმეობა 3	3
3	უცხოური ენა (ინგლისური)	5
სულ		11
პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
4	სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში	3
5	სამედიცინო და ფარმაცევტული ტერმინოლოგია	3
6	სითხოვანი წამლის ფორმების მომზადება	5
7	მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადება	5
8	მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება	2
9	პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება	4
10	მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში	2
11	მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა	3
12	მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა	3
13	მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა	2
14	მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა	2
15	ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები	4
16	მორფოლოგიის და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები	6
17	ანატომია-ფიზიოლოგიის საბაზისო პრინციპები	5
18	ბიოქიმია	4
19	მიკრობიოლოგიის საფუძვლები	4
20	ფარმაკოლოგია	7
21	ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები	8

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

22	ანალიზური ქიმიის საფუძვლები	4
23	სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 1	4
24	სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 2	6
25	ტოქსიური ნივთიერებების ბიოლოგიური მასალიდან იზოლირება და აღმოჩენა	5
26	ბოტანიკა	4
27	სამკურნალო მცენარეული და ცხოველური ნედლეული	7
28	სამედიცინო ფიზიკის საფუძვლები	4
29	პირველადი გადაუდებელი დახმარება	3
სულ		109
არჩევითი მოდული		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
30	მზა წამალთფორმების კლასიფიკაცია და შენახვის პირობები	3
სულ		3

9. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

1. კურსდამთავრებულს შეუძლია:
2. შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად
3. დაადგინოს თანხმობა დოკუმენტაციასთან იგივეობა
4. შეამოწმოს სასაქონლო ნიშნები და რაოდენობა
5. განათავსოს პროდუქცია სათანადო ადგილზე
6. ჩაატაროს სააფთიაქო ნაშთის პერიოდული კონტროლი
7. განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება-მარკირება
8. მომზადება რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი წამლის ფორმები
9. გათვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპები
10. განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შერჩევა-მიწოდება, კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ
11. განახორციელოს ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია
12. განახორციელოს ანგარიშის მომზადება-ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური წამლის ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად წამლის ფორმების დაფასოების შესახებ
13. დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა და უსაფრთხოების წესები.

10. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

დაწესებულებას ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. რომელიც ითვალისწინებს ერთ არჩევით მოდულს

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

11. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტის მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

12. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. კვალიფიკაციის მინიჭება შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის პრეროგატივაა .

13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

14. ქართული ენა A2 და ქართული ენა B1

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

15. ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები*

- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“
- დარგის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები†
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

პროფესიული სტანდარტი:

- ფარმაცევტის თანაშემწე

კლასიფიკატორები:

- საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი - ეკონომიკური საქმიანობის სახეები (2016 წ.);
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO);

* ჩარჩო დოკუმენტსა და მოდულებში გაწერილ სამართლებრივ აქტებში ცვლილებების ასახვის შემთხვევაში სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებულ იქნება აქტის/აქტების განახლებული ვერსია, მიუხედავად ამავე ჩარჩო დოკუმენტსა და მოდულებში არსებული ჩანაწერებისა. აგრეთვე, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისთვის ჩარჩო დოკუმენტსა და მოდულებში, გაწერილი სამართლებრივი აქტების გარდა, შესაძლებელია, დამატებით გამოყენებულ იქნას სხვა აქტები, მათ შორის - საერთაშორისო შეთანხმებები და რეგულაციები.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

- განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCED);
- ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის 2005/36 დირექტივა პროფესიებში კვალიფიკაციების რეგულირებასთან დაკავშირებით;
- ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2013 წლის 20 ნოემბრის 2013/55 დირექტივა, პროფესიებში კვალიფიკაციების რეგულირებასთან დაკავშირებით 2005/36 დირექტივის ცვლილება.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

ზოგადი მოდულები

დანართი 1. ინფორმაციული წიგნიერება 2

დანართი 2. მეწარმეობა 3

დანართი 3. ინგლისური ენა

პროფესიული მოდულები

დანართი 4. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში

დანართი 5. სამედიცინო და ფარმაცევტული ტერმინოლოგია

დანართი 6. სითხოვანი წამლის ფორმების მომზადება

დანართი 7. მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადება

დანართი 8. მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება

დანართი 9. პროდუქციის მიღება- განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება

დანართი 10. მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებაში

დანართი 11. მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა

დანართი 12. მომხმარებლისთვის მცენარეული ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა

დანართი 13. მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა

დანართი 14. მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა

დანართი 15. ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები

დანართი 16. მორფოლოგიის და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები

დანართი 17. ანატომია-ფიზიოლოგიის საბაზისო პრინციპები

დანართი 18. ბიოქიმია

დანართი 19. მიკრობიოლოგიის საფუძვლები

დანართი 20. ფარმაკოლოგია

დანართი 21. ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები

დანართი 22. ანალიზური ქიმიის საფუძვლები

დანართი 23. სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 1

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

დანართი 24. სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 2

დანართი 25. ტოქსიური ნივთიერებების ბიოლოგიური მასალიდან იზოლირება და აღმოჩენა

დანართი 26. ბოტანიკა

დანართი 27. სამკურნალო მცენარეული და ცხოველური ნედლეული

დანართი 28. სამედიცინო ფიზიკის საფუძვლები

დანართი 29. პირველადი გადაუდებელი დახმარება

არჩევითი მოდული

დანართი 30. შზა წამალთფორმების კლასიფიკაცია და შენახვის პირობები

დანართი 31. სასწავლო გეგმა

დანართი 32. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

დანართი 33. მატერიალური რესურსის ჩამონათვალი